

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №420

2014 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

## „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მოსამსახურეთათვის საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის N1266 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

### მუხლი 1

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მომსახურეთათვის საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის N1266 ბრძანებაში (სსმ, 28.12.2005, III ნაწილი, №151, მუხლი 1676) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

#### 1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაღდი ანგარიშსწორებისთვის კომერციულ ბანკებში საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშების გახსნის შესახებ“.

#### 2. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებით ნაღდი ანგარიშსწორების და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის ოპერაციებისთვის, საბანკო დაწესებულებებში გახსნან კორპორაციული მიმდინარე ანგარიში კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

#### 3. მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> და 2<sup>2</sup> პუნქტები:

„2<sup>1</sup>. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კორპორაციულ მიმდინარე ანგარიშიდან შესაძლებელია ინტერნეტით განსახორციელებელი შესყიდვის პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება.“.

2<sup>2</sup>. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, საბიუჯეტო ორგანიზაციას შესაძლებელია, გაეხსნას კორპორაციული მიმდინარე ანგარიში მივლინებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფინანსებლად, სადაც ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან თანხა წინასწარ მიიმართება ორგანიზაციის მიერ დადგენილი ოდენობით.“.

### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

